შაბათი 4 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., [illegible] ცალკე ნუმერი ერთი შაური [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და დარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 120 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 120

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 2 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

თავადაზნაურთა კერა.

მეორე სერია ოთხ ნაწილათ ეპილოგით.

ანონსი: მოკლე ხანში ნაჩვენები იქნება ზნე-დაცემული

3 ნაწილად, ჩერნოვისა და მიჩურინის მონაწილეობით.

დედა ბარბალე ტარიელის ასული ქუთათელაძისა, ძმები: ნიკოლოზ და კონსტანტინე, დები: მარიამ და ვასასი ივანეს ძენი და ასულნი და ძმის წული ვარვარა კონსტანტინეს ასული ქუთათელაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უდროვოთ გარდაცვალებასა პირველი დაუვიწყარის შვილისა, მეორენი საყვარლისა ძმასა, ხოლო უკანასკნელი ძირფასის ბიძისა

მიხეილ ივანეს-ძის ქუთათელაძისას.

გამოსვენება მოხდება კვირას 5 ივლისს საკუთარ სახლიდან, 10 საათზედ ხონის მაცხოვრის ეკლესიაში, წირვის და წესის აგების შემდეგ დაკრძალვა იქნება იქვე სასაფლაოზედ.

ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოების წევრთ გარდაცვალებას გამგეობის წევრისას

მიხეილ ივანეს-ძის ქუთათელაძისას.

და სთხოვს მათ მობრძანდენ კვირას 5 ივლისს დილის 10 საათზე მის საკუთარ სახლში და დაესწრონ ცხედრის გამოსვენებას მაცხოვრის ეკლესიაზე.

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ დაბა ოჩემჩირეში გარდაიცვალა

გიორგი სოლომონის ძე აბაშიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ეკატერინე სპირიდონის ასული აბაშიძისა** და შვილები: **თამარა და ჭუჭულა აბაშიძენი.** დასაფლავება მოხდება დაბა ოჩემჩირეში დღეს კვირას, ხუთ ივლისს, ნაშუადღევის ოთხ საათზე. 1—1—505

დათიკო ქებაძის სავაჭროში

შაქრის იაფი ვაჭრობა.

ნიხრზე ნაკლებათ იყიდება:

თავი შაქარი ბროცკის პირველი ხარისხის გირვანქა ერთი აბაზი 1 ф. 20 коп.

ფხვნილი (პესოკი) შაქარი პირველი ხარისხის ცხრამეტი კ. 1 ф. 19 к. 5—3

გამოვიდა ახალი წიგნი.

პედაგოგიური კითხვების არშემო.

(პასუხათ ჩვენ კრიტიკოსებს)

ვ. ჯაფარიძე და ი. ზედგინიძე. 5—3

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

## ომის დღიური.

გუშინდელ მიმოხილვაში ის აზრი იყო გამოთქმული, რომ ადვილი შესაძლებელია გერმანელების მოქმედების შესუსტება რუსეთის ასპარეზზე გამოიწვია, აქედან დასავლეთის ასპარეზზე ჯარის გადაყვანამ თქო, იქვე აღნიშნული იყო, რომ გერმანელები რუსეთის საზღვარზე ერთ ადგილას ვერ შეჩერდებიან და თავისი მოქმედება ბუნებრივ დასკვნამდი უნდა მიიყვანონ. დღევანდელი დეპეშებით უკვე ირკვევა, თუ რა მხრიდან აპირობენ გერმანელები შეტევას. მდ. ნარევთან გერმანელების სასტიკი მოქმედება განახლდა. ნარევის ხაზი უახლოესი რაიონია ვარშავისაკენ და ადვილი წარმოსადგენია თუ რა სწადიათ გერმანელებს. ისინი ორის მხრიდან-ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან-რკალს არტყამენ ვარშავას. ჩრდილოეთიდან ისინი ემუქრებიან ნოვოგეორგიევსკის სიმაგრეს. და სამხრეთიდან კი ივანგოროდ-ბრესტ-ლიტოვსკის სიმაგრეებს ჩრდილოეთის მხრით გერმანელებს დიდძალი ჯარები მოუშველებიათ და აქ მეტათ მკაცრი ბრძოლები დაწყებულა პრასნიშცეხანოვის გზით. როგორც დეპეშიდან ვტყობილობთ აქ გერმანელებს ვერ ჩაუთრევიათ ბრძოლაში რუსის ჯარი, რომელსაც უბრძოლველათ უკან დაუხევია. ჩრდილოეთის რაიონში სერიოზული მოქმედება და დიდძალი ჯარის ცქვიტი მოძრაობა შეუძლებელია, რადგან ეს რაიონი ერთ ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს, აქ გაუვალი ჭაობები და უღრანი ტყეები ფარავს მთელს ტერიტორიას, ამასთანავე ეს რაიონი ხელოვნურათაც არის გამაგრებული: აქ აგებულია ბევრი ციხე-სიმაგრეები, ამისთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ გერმანელები აქ რამე სერიოზულ მოქმედებას აპირებდენ. შეიძლება მათ სურთ რომელიმე ხაზის გარღვევა და თავის შემოკლა. როგორც ჩრდილოეთით, სამხრეთითაც დიდი სიმაგრეებია. ივანგოროდ-ბრესტი აქ დიდხანს შეაჩერებს გერმანელებს. ამ ნაირათ ადვილი შესაძლებელია, რომ გერმანელებმა თავის მიზანს—რუსეთის ჯარის განადგურებას-სრულიადაც ვერ მიაღწიონ გერმანელები ცდილობენ თავისი წინსვლით კიდევ ჩაითრიონ რუსები გადამწყვეტ ბრძოლაში და ამ განზრახვისათვის მათ ორი ხაზი აქვთ მიზანში ამოღებული: ჩრდილოეთის და სამხრეთის. ჩრდილოეთით ისინი ცდილობენ ოსოვეცის ან სხვა რომელიმე ციხის აღებას და სამხრეთით კი ისინი მუდამ ხოლმის ხაზს ემუქრებიან.

## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

### კავკასიის ასპარეზი.

#### კავკასიის ჯარის შტაბისაგან.

**თბილისი.** 2 ივლისი. 29 ივნისის განმავლობაში ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. ჯამბეგის სამხრეთით რუსის ჯარი იერიშით მიდის. მელაზგერტის მიმართულებით ჩვენი ჯარი იბრძვის კოპ-კარმუნჯის რაიონში და აქ ერთმა რაზმმა დაიჭირა მდ. ეფრატზე ხიდი შეიხასი, ამოჟლიტა 200 ქურთი და წაართვა 1000 ცალი საქონელი. დანარჩენ რაიონებში ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

#### უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 1 ივლისი. 29 ივნისს საღამოთი მტერი იერიშით წამოვიდა ნარევის ხაზით. ლომჟის მიმართულებით 29 ივნისს და მეორე დღეს იგი მხოლოდ ძლიერი არტილერიის სროლას აწარმოებდა. მდ. პისას მარჯვენა ნაპირზე, 30 ივნისს მტერმა ჩაიგდო ხელში ჩვენი თხრილები ორი ვერსის მანძილზე, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუქცეულ იქნა. მდ. შკვას ორივე ნაპირით მკაცრი ბრძოლაა. მტრის დიდი ძალები იერიშებით მოდიან მდ. ორჟიცის და ლიდინის შუა. რუსის ჯარი გადამწყვეტ ბრძოლაში არ ჩაერია და დაიხია 1 ივლისს მეორე რიგის პოზიციაზე. ვისლის მარცხენა ნაპირით ცვლილება არ მომხდარა. რუსის არმიამ, რომელიც ვილკოლაზთან იბრძოდა ერთი კვირის განმავლობაში 21—28 ივნისამდე, სწორი ანგარიშით წამოიყვანა ტყვედ 297 აფიცერი და 22,564 ჯარის კაცი. ხოლმის მიმართულებით კერძო შეტაკებანი ხდება მდ. ვოლიცას ველით და აქ 30 ივნისს ლამით ტყვედ ჩავივარდა 150-ზე მეტი. დანარჩენ რაიონებში ცვლილება არ მომხდარა.

**ნიში.** 30 ივნისი. „პრ.-ბიურო“ იუწყება: 28 ივნისს მტრის ორმა ჰაეროპლანმა ჩამოაგდო ორი ყუმბარა ბელგრადში, სადაც არავითარი სამხედრო შენობა არ არის. ერთი ყუმბარა ქუჩაში დაეცა, მეორე—სახლს. ადამიანის მსხვერპლი არაა, ორი ყუმბარა დაბა ბანიცეში ჩამოაგდეს—ქალაქის ახლოს.

**ნორტელიჯ.** 1 ივლისი. რუსლანგების ახლო შვეციის სამი იალქნიანი გემი წააწყდა ნაღმს. გემის უფროსი და 4 მეზღვაური დაიღუპა. გემს ტვირთი მიჰქონდა ბურნინლანდიდან სენდსვალში.

**პეტროგრადი.** 1 ივლისი. გამოცხადებულია განკარგულება, რომლითაც აკრძალულია ოქროს საზღვარ-გარეთ გატანა.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა სამხედრო სამინისტროს წინადადება 1915 წელში 1896 წ. დაბ დებულთა ჯარში გაყვანის შესახებ.

**რომი.** 1 ივლისი მთავარი შტაბის ცნობა 30 ივნისს—მთელ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. გუშინ განთიადისას ჩვენი ჰაეროპლანების რაზმმა იერიში მიიტანა 600 მეტრის სიმაღლეზე და მტრის დიდ ბანაკზე გოსტინცას ახლო.

**ათინა.** 30 ივლისი. გაცხარებული ბრძოლა გრძელდება კრიტიის დასავლეთით. ორი გორა კრიტიის ახლო ენერგიულ იერიშის შემდეგ მოკავშირეთა ხელში გადავიდა. ერთი ჯართაგანი ბრწყინვალე გამარჯვებით მიიწევს წინ იმ მაღლობისაკენ, რომელიც აღმოსავლეთით იცავს კრიტიას, რითაც თურქები ჯვარედინ ცეცხლს შუა მოექცევა. სრუტეების იერიში განახლდა. თურქების ფორტები სუსტად უპასუხებენ. ხმებია, მოკავშირეებმა უკანასკნელს ბრძოლებში 5,000 ტყვე იგდეს ხელთაო.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 30 ივნისი. დღის ოფიციალური ცნობა. ჩვენი პოზიციების წინ გერმანელები განაგრძობდნენ ძლიერი სროლის საშვალებით იერიშის მიტანას. მტერი უკუქცეულ იქმნა დიდი ზარალით თავის ხაზზე. აპრემონის ტყეში, რენვილის მიდამოში, აგრეთვე ლეპრეტის ტყეში, ბრძოლა ყუმბარების საშვალებით სწარმოებს, აგრეთვე არის თოფებისა და ზარბაზნების სროლა. გერმანელების ცდა იერიში მოეტანათ ხიდის წინ სიმაგრეზე, რომელიც ჩვენ მიერ იყო დაკავებული ზონდერნახთან ფეხტის აღმოსავლეთ ნაპირზე—უკუგდებულია. 35 ჰაეროპლანებისაგან შემდგარმა რაზმმა მიუხედავად ძლიერ ქარისა, დღეს დილით იერიში მიიტანა სტრატეგიულ სადგურზე, რომელიც გერმანელებს ჰქონდათ გაკეთებული ვინი ლეგატოს შატელში. სადგური დახმარებას უწევს კოლონნის რაიონსა და აგრეთვე აპრემონის ტყეს. სადგურზე ყოველგვარი მასალა იყო შეგროვილი და უმთავრესად სამხედრო მასალა. ჩვენმა ჰაეროპლანებმა აქ ჩამოაგდო 171 ყუმბარა. ყუმბარების სროლამ რამდენიმე ალაგას ცეცხლი გააჩინა. ყველა ავიატორი მტრის სასტიკი სროლის მიუხედავად უვნებლათ დაბრუნდენ.

— ღამის ოფიციალური ცნობა. ბელგიაში გერმანელები ფრანგების და ინგლისელების ხაზის იერიშების დროს სარგებლობდნენ ყუმბარებსა და სულის შემხუთავ გაზებს, ძლიერი სროლაა არრასის ჩრდილოეთით. არრასი ნივთიერად ხელ-ახლა დაზარალდა. ქვეითა ჯარი დღით არ მოქმედებდა. არგონებში კრონპრინცის ჯარი კვლავ შეუდგა წინსვლას ბინარველ-ვენლეშატოს გზიდან დაბა ოტშევაშემდე, მაგრამ ისევ დამარცხდა. ყუმბარების ფრიად სასტიკ სროლისა და სულის შემხუთავ გაზების შემდეგ მტერი დიდი ძალებით წამოვიდა იერიშებით, ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ამ იერიშში მონაწილეობას ღებულობდა მე 16-ე კორპუსის 5 პოლკი. იქ, სადაც ჩვენ დროებით იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია, ენერგიული კონტრ-იერიშებით ჩვენ შევაჩერეთ მტერი და ისევ უკან დავახევინეთ. მაასის და მოზელის შუა არტილერიით ბრძოლა გრძელდება სასტიკად აპრემონისა და ლეპრეტრეს ტყეებში, სადაც მტერი 30 ივნისს ხელ-ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშედეგო იერიშის შემდეგ იერიშებს მიმართავდა. ფლანგასა და ტყეს შუა ხელის სასროლ ყუმბარებით ჩვენ დავიკავეთ ადგილი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ამბოხება ოსმალეთის ჯარში.

ბუქარესტიდან ცნობაა—ოსმალეთის იმ ჯარის ნაწილებში რომელნიც დარდანელთან იბრძვიან გერმანელ ოფიცრების ხელმძღვანელობით, აჯანყება მოხდაო.

**პარიზი.** ლონდონის გაზეთების არზით, ცნობა იმის შესახებ, რომ სანდერ'ი ოსმალეთის ჯარის კაცებისგანაა დაჭრილი—მტკიცდება იმ გარემოებითაც, რომ გალიპოლის ჯარის უფროსობა ენვერ-ფაშამ მიიღო და არა სხვა რომელიმე პირმა.

„ტრიბუნა“ იუწყება, ოსმალეთის ჯარში თანდათან იზრდება დემორალიზაცია, ძლიერდება მძულვარება ახალგაზდა ოსმალებისა და გერმანელებისადმი. თანდათან ხშირდება შემთხვევები ამბოხებისა „ყველა ეს, ამბობს გაზეთი, გვაფიქრებიებს,—რომ ოსმალეთის აღსასრული მოახლოებულიაო.

**კოპენგაგენი.** „კორიერე დელა სრა“ იუწყება, კონსტანტინეპოლში დიდი ამბოხება მოხდაო. მთავრობისა და კერძო საზოგადოების ბევრი შენობა განადგურებული და გადამწვარია.

**ბუქარესტი.** კონსტანტინეპოლიდან ცნობაა—ოსმალეთის დელეგაცია იუსტიციის მინისტრათ ნამყოფ ნეჯიბ-ედინ-მოლა-ბეების მეთაურობით საიდუმლოთ გაემგზავრა შვეციაში სეპარატიულ ზავის ჩამოგდების თაობაზე მოსალაპარაკებლათო.

## ბუქარესტის მანიფესტი.

რუმინიის შვიდმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მანიფესტით მიმართა რუმინიის ხალხს და მოუწოდა მას აღსდგეს ნაციონალური იდეალების განსახორციელებლათ. დღევანდელამდი, ამბობს მანიფესტი, ბრატიანუს მთავრობა, მეფე ფერდინანდის მფარველობით, ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა განეგრძო მოკავშირეთა სასარგებლოთ რუმინიის გამოსვლის საკითხი.

ეს კიდევ ცოტაა: ამ ბოლო დროს გავრცელდა ხმები, რომ ბუქარესტის კაბინეტს მოლაპარაკება გაუმართავს ავსტრიასა და გერმანიასთან, რომ ფრანც იოსები, თავისი ძლიერი მოკავშირის ზეგავლენით, ვითომც პირდება რუმინიას თავისი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის დათმობასო.

რადგანაც უნგრეთის მთავრობამ ავდაჭრით უარყო მადიართა მიწების ერთი ნაბიჯის დათმობაც კი რუმანიისათვის, ამიტომ აქ ლაპარაკია მხოლოდ ბუკოვინის დათმობაზე, ან მის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის დათმობაზე, სადაც მხოლოდ რუმინელები მოსახლეობენ. ასეთი მცირე ტერიტორია რუმინიას ვერ ჩაითრევს ომში ავსტრიელების სასარგებლოთ. როდესაც ბრძოლის ველის საერთო მდგომარეობა ქადდა რუმინიას მცირე მსხვერპლით უფრო დიდი ტერიტორიის შემოერთებას და დიდი რუმინიის შექმნას, ბრატიანუს მთავრობამ ეს მომენტი ხელიდან გაუშვა და მით დიდი დანაშაული ჩაიდინა ხალხის წინაშე. მიუხედავათ იმისა, რომ რუმინია უკვე მზათაა საომრათ, იტალიის ჯარი უკვე შეიჭრა ავსტრიაში და ბულგარეთის მხრით საშიშროება თავიდან აცილებულია, რუმინიის მთავრობისაგან სხვა გვარ პოლიტიკას არ უნდა მოველოდეთ გარდა იმ პოლიტიკისა, რომელსაც იგი მთელი წელიწადია აწარმოებს. ამასთანავე რუმინიის აგრარიები, რომელთა ხელშიც ძალა-უფლებაა, კარგათ ხედავენ, რომ რუმინიაში პურის მოსავალი წელს კარგი იქნება, და სურთ რა თავის საქონელი გაასაღონ ავსტრია და გერმანიაში, სრულებით არ მოინდომებენ არსებულ პოლიტიკის შეცვლას.

ხოლო თუ ხალხის ხმა ძლიერი და გრძნობიერი იქნება, მაშინ მართველ წრეებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ამ ხმას და არც შეუძლიათ უბრალო მაყურებლათ დარჩენ. ხალხის მთხოვნელების მიზნათ უნდა იყოს ბრატიანუს მთავრობის გადადგომა და ნაციონალური მთავრობის შედგენა, რომელშიც ყველა პარტიის წარმომადგენლები შევლენ.

მაშასადამე, ამ დღეებში უნდა გადასწყდეს რუმინიის მომავალი ბედი.

თუმცა სტრატეგიული მოსაზრებით რუმინიამ ომში ჩარევისათვის უკვე დაჰკარგა ხელ საყრელი დრო, მაგრამ ფ'იხოლოგიური თვალსაზრისით დღევანდელი მომენტი გაცილებით უფრო სასარგებლოა.

ბუქარესტის მანიფესტი სამართლიანათ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი და მისი მოკავშირენი იბრძვიან სიმართლისა და უფლების დასაცავათ და არა დაპყრობისა ძარცვა-გლეჯის მიზნით და ამიტომ სამართლე ყოველთვის გაიმარჯვებს ძალაზეო. ბედნიერი იქნება ის ხალხი, რომელიც თავის წვლილს შეიტანს ამ საერთო ბრძოლაში ძალმომრეობისა და სიბნელის დასამხობათ და ახალი ქვეყნის შესაქმნელათ ახალ პრინციპებზე.

ჩვენ გვსურს, დასძენს მანიფესტი, რომ რუმინიის ხალხმა თავის ბედი თავისი ხელით ატაროს.

„რ. სლ.“

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის გამგეობა თავის რწმუნებულის ჩელნოკოვის პირით სთხოვს ქალაქის გამგეობას აღმოუჩინოს დახმარება დაუძლურებულ ჯარის კაცთათვის სალ ჰაერიან აგარაკზე საავათმყოფოს ასაგებათ. სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირს გადადებული აქვს 250000 მ., მაგრამ საქმის განსახორციელებლათ ეს თანხა საკმაო არ არის. ასეთივე წინადადებით კავშირმა მიმართა სხვა ქალაქების გამგეობებსაც.

✦ ხვალ, 5 ივლისს, ქალაქის თეატრში ცნობილი პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა (სიტყვა) დილის 12 საათზე დარბეულ აჭარელთა სასარგებლოთ წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„სამაჰმადიანო საქართველო“ (ძველი მესხეთი) პროგრამა ლექციისა ასეთია: პირველი ნაწილი: შესავალი. პატარა აჭარა, როგორც ნაწილი დიდი მესხეთისა. მესხეთის შესანიშნავი ნაშთები: ოპიზა, ტბეთი, შატბერდა, ზარზმა, საფარა, ბანა, იშხანი, პარხალი და სხ. მესხეთის გამოჩენილი ისტორიული მოღვაწენი. მესხეთის მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მესხეთის ნაწილები: ახალციხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ჭანეთი. მოკლე ისტორიული მიმოხილვა, მესხეთის დაპყრობა ოსმალეთის მიერ და მაჰმადიანობის გავრცელება. მესხეთის მდგომარეობა მე-18 საუკ. ვახუშტის აწერილობით.

ნაწილი მეორე: ერეკლე მეფის ცდა მესხეთის დაპყრობისა და დაბრუნებისათვის. ახალციხის და ახალქალაქის მაზრების შემოერთება 1828 წლის ომის შემდეგ. 1877—78 წლის ომი. ბათომის და ყარსის ოლქების მაჰმადიან ქართველების შემოერთება. პირველი წლები შემოერთების შემდეგ. ქართული ენა სამაჰმადიანო საქართველოში მე-19 საუკ. ბოლოს და მე 20 დასაწყისში. აუცილებელი საჭიროება ქრისტიან ქართველების და მაჰმადიან ქართველების დაახლოვებისა, სკოლების გახსნა, და ქართული ენის გავრცელება.

ეს ლექცია წაკითხული იყო საინგილოში, თელავსა და გორში. ლექცია შინაარსიანი და საინტერესო გამოდგა.

✦ ამას წინათ ბ. გუბერნატორის წინაშე ქუთაისში მყოფმა ქართველ სტუდენტებმა შუამდგომლობა აღძრეს რომ ნება მიეცა მოეხდინათ თათბირი დარბეულ აჭარელთა შესახებ. სტუდენტებმა ბ. გუბერნატორიდან ამის შესახებ უარი მიიღეს.

✦ როგორც ქ. ზუგდიდიდან გვწერენ, იქ აბრეშუმის პარკი ბაზარზე გასაყიდლათ უკვე შემოდის. პარკი ჩალის ფასათ—10 მანეთად იყიდება. ვაჭრებს ხშირათ, როცა ერთი რომელიმე ფასს მოუმატებს ჩხუბი მოსდით და ერთმანეთს ცხვირ-პირს ამტვრევენ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა პოლიციამ.

✦ გუშინ, 3 ივლისს, ქუთაისის ბაზარზე პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი იყიდებოდა 16 მან. და 10 შაურათ, მეორე—15 მან. და 10 შაურათ და მესამესი 14 მანეთად.

✦ ხვალ, 5 ივლისს, ქალაქის ბაღში დრამატიული საზოგადოების მიერ თავისი ნივთიერი სახსრის გასაძლიერებლათ გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა შემდეგი პროგრამით: 1) კინემატოგრაფი, 2) ჭიდაობა, 3) ქართული წარმოდგენა 4) პტი-შვო, და სხვა და სხვა გასართობი.

✦ ამ მოკლე ხანში დ. ღოღო, ბერიძის რედაქტორობით გამოვა ალმანახი „ზავი“.

✦ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ამ მდგომარე 1915 წელში გაწვეული იქნებიან სამხედრო-ბეგარის მოსახდელათ 1917 წელში გასიწვევი ჯარისკაცები, რომელნიც დაბადებულნი არიან 1896 წელში.

✦ დღეს, 4 ივლისს, ქალაქის თეატრში ვასო ბალანჩივაძე მართავს საქველმოქმედო საღამოს ... ქართველ მასწავლებელთა ... ნება და კლავიშ... მედია „ირინეს ბედნიერება“. დივერტისმენტში წაკითხული იქნება ლექსები და სამღვრეო სცენები. დასასრულ ნემო და ვ. ბალანჩივაძე აკომპანიმენტის დახმარებით შეასრულებენ კუპლეტებს „მილოცავის“ ხმაზე.

✦ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთის“ მორიგი მე-9-ე ნომერი.

✦ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას ჯერ დანამდვილებით გადაწყვეტილი არა აქვს იულიოს მომავალ სეზონში დაქირავებული დასი თუ არა.

✦ ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან აბრეშუმის პარკის შემოსვლამ უკვე იკლო. დღეში 300—500 ფუთის ნაცვლად ძლივს 150 ფუთამდე იწონება.

### შეცდომის გასწორება.

„სამშობლოს“ №118 მოთავსებულ ლექსში შემდეგი კორ. შეცდომა შეგვეპარა:

სწორია: მშრომელ მხარს
უნდა იყოს: მშობელ მხარს.

ლექსში ეკუთვნის **რიონისპირელს** და არა **რიონისპირელს**.

### ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

(იხ. „სამშობლო № 119)

### გაგრძელება.

გ. ურატაძე გამგეობის საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეადგენს წიგნების გამოცემა და გავრცელება, ამიტომ უმთავრესი ყურადღება გამგეობამ უნდა მიაქციოს წიგნების გამოცემითა და გავრცელებით საქმეს, ხარჯიც მეტი უნდა გაიღოს ამ საქმისათვის; მისი აზრით კარგი იქნება ასეთი კომბინაცია:

1) თუ ერთ-ერთი გამგეობის წევრი ბუღალტერი იქნება, მაშინ კანტორის გამგეთ სტამბაში საკმაოა ერთი კაცი; ამით 500 მანეთი განთავისუფლდება, რომელსაც დაემატება 300 მანეთი ბუღალტერის მოსაწვევი ფული და შესდგება 800 მან; რაც მთლიად მიემატება წიგნების გამოსაცემ თანხას. 2) ბიბლიოთეკების მეთვალყურეს ეძლევა 600 მან, მისი შრომა კი იმდენად მცირეა, რომ შეუძლია ამავე დროს

## მეისტორიე დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე და მისი ღვაწლი.

(მისი გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო)

იხ. „სამშ.“ 111-ე №

ამ გარემოებამ, ამბობდა იგი,—აღმიძრა ენერგია მეტი ცოდნის შესაძენად. აქიდან სჩანს, რომ მისი ღვაწლი შემდეგში უფრო თვალსაჩინო და ნაყოფიერი იქნებოდა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა...

რა სარგებლობა მოუტანა განსვენებულმა ქართულ საისტორიო მეტყველებას?!

წარსული საუკუნის ორმოცდა მეათე წლებამდი ერთად ერთ წყაროდ ქართველთა ისტორიისა ითვლებოდა „ქართლის ცხოვრება“, გამოცემული ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის რედაქციით მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ეს მატიანე ვერ ჩაითვლება სრულ მატიანედ. მასში ქართველთა ისტორია გამოხატულია ცალმხრივად. ის მოგვითხრობს მხოლოდ მეფეთა და მათი ომების შესახებ. მასში არაა ის, რასაც ეძახიან კულტურულ მხარეს ისტორიისას, ერის სამინაო ცხოვრებას, მის სოციალურსა და ეკონომიურ ყოფას.

საქართველოს რიგიანი და ვრცელი ისტორიის შესადგენათ საჭირო იყო მისი ცხოვრების ყოველმხრივ დაწვრილებითი შესწავლა. ამ მხრივ დაუფასებელ სამსახურს გაუწევს მკვლევარს მიწაში დამარხული ქართული ნაშთები, მიწის ზედაპირზე დაშთენილი ძეგლები მათი ზედწარწერით, გარკვევა ძველი ხელთ ნაწერებისა, და მათი მინაწარებისა, სიგელებისა ანუ საერო პირთათვის მიცემული წყალობის წერილებისა, გუჯრებისა—ანუ ეკლესია—მონასტრებისთვის ბოძებული წყალობის წერილებისა, „ქართლის ცხოვრების“ სხვა და სხვა ვარიანტები, ძველ ფულთა შესწავლა და სხვა.. ყოველივე ამის შესწავლა, ბაქრაძის აზრით, მეტად ხელს შეუწყობდა საქართველოს ვრცელი ისტორიის შედგენას, რომელიც მის სანატრიონს შეადგენდა. ამის გამო დიმ. ბაქრაძემ ხელი მიჰყო „ქართლის ცხოვრების“ ნაკლის შესავსებლად ჯერ ბერძნულ—რომაულ—სომხურ ცნობების შესწავლას საქართველოს შესახებ და შემდეგ ქართული ძველი ნაშთების კვლევა—ძიებას. „ხელახლა ამეტყველდნენ დაობლებულნი და თავპირ ჩამომტირალნი ნაშთენი, მდებარენი გადაყრუებულ, უჟამურ და უკაცო ღრე ტყეში, ხევ-ხუვსა და მთა-გორაკთა ზურგზე, თუ თხემებზე. ამ ნაშთებმა გაიღვიძეს, ენა ამოიდგეს და ქართველთ მოუთხრეს წარსულის ამბები“ (მ. ჯანაშვილი).

ასეთი შედეგი მოჰყვა დიმ. ბაქრაძის საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მოგზაურობას ძველ ნაშთების შესასწავლად. ამის მეოხებით ნათელი მოეფინა ჩვენი სამშობლოს წარსულ ცხოვრებას და ის უფრო ვრცლად დაეხატა თვალთა წინაშე. ჯერ კიდევ ბროსსე ჰფიქრობდა, რომ სიგელ-გუჯრების, სხვა და სხვა წარწერათა და მინაწერთა მეოხებით შეიძლება შევისწავლოთ ქართველთა სოციალური და კერძო ცხოვრება, გავითვალისწინოთ მათი სარწმუნოებრივი, სამოქალაქო და სამხედრო დებულებანი, გადასახადთა წესი, მოქალაქეთა დამოკიდებულება ურთიერთშორის და მათნი დამოკიდებულებანი სახელმწიფოსთან, მაგრამ ბროსსეს სიტყვით ჯერ მრავალი ქართული ძეგლია შეუსწავლელი. მხოლოდ მათი შესწავლის შემდეგ შეიძლება დაიწეროს საქართველოს სარწმუნო და კრიტიკულად შემუშავებული ისტორია.

ბროსსეს საქმის წარმატებით წინ წამწევი დ. ბაქრაძის მეოხებით გამოირკვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იყო ქართული ხუროთ მოძღვრება, ქანდაკება, ჩუქურთმა, მხატვრობა, თუ როგორი იყო გავლენა ქართველებზე სხვა და სხვა მეზობელ კულტუროსან ერებისა, რომლებთანაც მათ ჰქონდათ ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება. ამ სახით ძველი ნაშთების შესწავლის მეოხებით შეივსო ის ნაკლი, რომელიც თან სდევს „ქართლის ცხოვრებას“... დიმ. ბაქრაძე ერთს და იმავე დროს გამოვიდა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული სინამდვილის დამცველად.

მანამდის საქართველოს ისტორიის უმთავრეს წყაროს „ქართლის ცხოვრება“-ს ზოგიერთნი სწავლულნი (სენკოვსკი და პატკანოვი) უცქეროდნენ ეჭვით. მათი აზრით „ქართლის ცხოვრება“ საეჭვოდ შედგენილი იყო სომხურ და სპარსულ წყაროების მეოხებით. ქართველებს არა თუ არ ჰქონდათ რაიმე ისტორიული მატიანები მეთვრამეტე საუკუნემდის, არამედ თვით ქართველებიც არ იყვნენ საქართველოში მეთორმეტე საუკუნემდის, ივერიელებად იწოდებოდენ მთიელთა სხვადასხვა ტომები, რომ ქართლის უმეტესი ნაწილი თბილისითურთ დასახლებული იყო სომხებით, მიდიელებით, თურქებით და სხვ..

ქართველებს ისტორია პირველათ შეუდგინა ერთმა უვიცმა სომხის რომელმაც მისცა მათ ესრედ წოდებული „სომხური ქრონიკა“ და სხვ..

თუმცა იყვნენ სხვა სწავლულნიც, როგორც მაგალითად, ჟან-სენმარტენი, და დიუბუადე, მონპერე და ვინაიდან დე-სენმარტენი, რომელნიც „ქართლის ცხოვრების“ და ქართველების შესახებ ასე მოურიდებლათ არ მსჯელობდნენ,—მაგრამ მათი აზრი შესაძლებელია ბევრს საეჭვო აზრად მიეღო... პირველად „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ხმა ამოიღო აკადემიკოსმა მარი ბროსსემ. მან გამოცა ფრანგულად და რუსულად „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის მიერ შედგენილი საქართველოს გეოგრაფია...

შეუდარა ერთ-მანეთს „ქართლის ცხოვრების“ ცნობები უცხო ქვეყნელთა ცნობებს ქართველთა შესახებ და აგრეთვე იმ ცნობებს, რომელნიც შეაგროვა საქართველოში 1847—1848 წლებში სხვადასხვა ქარტიათი და ორი ათასი წარწერათა შესწავლის მეოხებით და გამოიტანა უტყუარი დასკვნა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული სინამდვილის შესახებ. მის გზას გაჰყვა დ. ბაქრაძეც, რომელმაც აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ძველი ვარიანტები და მათ შორის „მარიამ დედოფლის ქრონიკა“ შატბერდის კრებული, რომელშიც მოთავსებულია „მოქცევაი ქართლისაი“, განსაკუთრებული წყარო ჩვენი ისტორიისა,—და ეგრეთ წოდებულ მესხურ დავითნში — ისტორიული ცნობები. „როგორც წყაროები, ისე ეს ცნობები სიტყვა სიტყვით არიან შეტანილნი ვახტანგის რედაქციის „ქართლის ცხოვრება“-ში... მართლაც, მასში ბლომად მოიპოვება ფაქტები, რომელთ მეოხებით შეიძლება შევიგნოთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ კერძო ძველ მატიანეთა კრებულია, ეს მატიანები შედგენილი არიან სხვადასხვა დროს ან თანამედროვე პირთაგან და ან ისეთ პირთაგან, რომელნიც სცხოვრობდნენ მომხდართა ამბის შემდეგ ძლიერ ახლო დროს. ზოგიერთი მემატიანის სახელიცაა ცნობილი. ზოგიერთი მატიანები იმავე სახლითაა ცნობილი, რომლითაც შეტანილია „ქართლის ცხოვრება“-ში; მაშასადამე „ქართლის ცხოვრება“ როდია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ვახტანგ მეფის მიერ შეთხზული, არამედ იგი ისტორიული კრებულია განსაზღვრულ რედაქციის ქვეშ გატარებული...

ეგრეთ წოდებული „სომხური ქრონიკა“ იგივე „ქართლის ცხოვრებაა“ მეცამეტე საუკუნეში ნათარგმნი ქართულად ან სომხურად სომეხთათვის.

სხვა მოვალეობაც შეასრულოს; ამიტომ დაევალოს მას პროვინციებში აგენტურის მოწყობა და ანგარიშების შეკრება წიგნების გავრცელების საქმეში. მაშინ ახალი კაცი აგენტურასათვის საჭირო აღარ იქნება და ის 150 მანეთის განთავისუფლდება, რომელიც ამ მიზნისათვის არის გადადებული და ეს ფულიც წიგნების გამოცემის საქმეს მიუმატოთ.

— —

ა. კრინიცკი. სტამბის ანგარიშები ყოველთვის საჭიროა ცალკე შედგეს დაწვრილებით, მოყვანილი უნდა იყოს როგორც მოგება ისე წაგება; რაც შეეხება ბუღალტერის მოწვევას, გამგეობას უფლება ჰქონდეს ეს 300 მანეთი დახარჯოს და თუ შესაძლებელი იქნება ბ. ურატაძის აზრის გატარება, ამაზე გამგეობამ იქონიოს მსჯელობა თვითონ. იგი წინააღმდეგია, რომ გამგეობის წევრი გაუძღვეს ბუღალტერიას, რადგანაც მისვლა-მოსვლას და წვრილმან მუშაობას მოითხოვს, რასაც გამგეობის წევრი თავის თავზე ვერ მიიღებს; კასის გამგეთ კი საჭიროა გამგეობის წევრი იყოს, რომელიც უფრო დაინტერესებული იქნება ამ საქმით და ფულებს უფრო მეუყიათად შეკრებს, ვიდრე კერძოდ ნაქირავები კაცი.

ი. ბაქრაძე წინააღმდეგია, რომ სტამბის ხარჯის აღრიცხვა განცალკევებული იქნეს საერთო ანგარიშებიდან, რადგან სტამბა ერთ-ერთი მხარეა გამგეობის მოღვაწეობისა; მოლარედ უნდა იქნეს გამგეობის წევრი, რომელსაც უნდა ეყოლოს კარგი გამოცდილი თანაშემწე.

ბ. მთსუშვილი. მოლარის საკითხის შესახებ ეთანხმება ბ. ბაქრაძეს; ბუღალტრის მოწვევა რადგან საკუთრად არ შეუძლია გამგეობას, მოეწყოს საქმე ასე: ვინმე ახალგაზდა ბუღალტერი ამორჩეულ იქნას გამგეობის წევრად, რომელსაც ორი წლის განმავლობაში დაევალოს უსასყიდლოდ სამსახური; ამასთანავე მას შემოაქვს წინადადება, რომ ყოველ წლობით საზოგადოებამ გადასდოს შემოსავალიდან ცოტა თანხა და როგორმე გაიჩინოს საკუთარი ბინა.

ორატორები თხოულობენ კიდევ სიტყვას, მაგრამ თავმჯდომარე აღარ აძლევს და ეტყვის: ხარჯთაღრიცხვას ბევრი დრო მოვანდომეთ, მარტო პროექტებზე ლაპარაკი მეტია, ეს საკითხი მოვიშოროთ და სხვა საკითხებისათვის კი ახალი კრება დავნიშნოთ.

კამათი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ დასრულდა და კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: დამტკიცდეს ხარჯთ-აღრიცხვა, ამასთანავე დაევალოს გამგეობას მხედველობაში მიიღოს კრებაზე წამოყენებული შენიშვნები და იმის მიხედვით გადაიტანოს ერთი საერთო ჯამი მეორეზე; კრების გაგრძელება გადაიდოს 29 ივნისის საღამოს შვიდი საათისათვის.

29 ივნისის კრებაზე უნდა გაერჩიათ შემდეგი საკითხები, 14 ივნისის კრების მიერ წამოყენებული: 1, ქუთაისის ქალაქის ბაღში აკაკის სახსოვრად ძეგლის დადგმა 2, დილიკაურის მამულის შენარჩუნება და იმისი მოვლის საშუალებანი 3, აჭარა-ქობულეთში ქართული სკოლის დაარსება. 3) საწევრო გადასახადის შემცირება და დღევანდელი სამი მანეთის მაგიერ ერთი მანეთის დაწესება. 5) გამგეობის წევრთა არჩევნები.

28 ივნისის კრება დამთავრდა ნაშუადღევის სამ საათზე.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება).

# წყალდიდობა.

(სამეგრელო).

**ს. კახათი** (ცაიშის საზოგადოება-ზუგდიდის მაზრა) ძევს შავი ზღვის დასავლეთით 14—15 ვერსის მანძილზე და იმყოფება ორი მდინარის „ჩხოუშია“-ს და „კახათის“ შუა. მცხოვრებთა რიცხვი 260 კომლამდეა. ეს სოფელი ორი წლის წინეთ საუკეთესო მოსავლიან კუთხედ ითვლებოდა მთელ ზუგდიდის მაზრაში, მაგრამ შარშანდელმა წყალ-დიდობამ დალუპა მოსავალი და შიმშილობა ჩამოაგდო. ამ საშინელი უბედურების დასაღწევად წრეულს, ზამთრის გასვლისთანავე მცხოვრებლები ძლიერ ადრე შეუდგნენ ყანების დამუშავებას, რომ საკვები სიმინდი დროზე მოსწრებოდათ და მართლაც, ნაადრევი სიმინდები საამო სანახავი იყო. მაგრამ დადგა 25 ივნისი და ბუნების შეუბრალებელმა სტიქიონმა კვლავ განადგურა მოჭირნახულე ხალხის შრომა!

ხალხმა 25 ივნისის ღამეს სიკვდილ-სიცოცხლის წუთები განიცადა: 24 ივნისს დაიწყო ქარ-შუქიანი წვიმა, თუმცა ცოტ-ცოტათ მატულობდა მდინარეები „კახათი“ და „ჩხოუშია“, მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ ისე ადიდდებოდა, როგორც ეს წელს მოხდა 9—10 წელიწადია კახათის სკოლაში ვმასწავლებლობ და ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ მინახავს აქ წყალდიდობა, გადაუღებელი წვიმებიც ხშირი ყოფილა, მაგრამ ასე ადიდებული ეს მდინარეები არც ერთხელ არ მინახავს.

25 ივნისს ღამის 12 საათზე აზუზუნდა ქვეყნა, წამოვიდა ძლიერი წვიმა, შემოეხვია ელვა, გადმოძახა ქუხილმა, დაჰკრა ზენამ, აირია ბუნება და შეიქნა უბედურება. ღამის პირველ საათზე იწყეს მდინარეებმა გადმოსვლა ნაპირებიდან, იმატა თან და თან და ორი საათის განმავლობაში მთელს სოფელს მოედო აღელვებული მდინარე წყალი, შეიქნა ხმა-ძახილი, ჩოჩქოლი—შხუილი ირგვლივ წყლებისა და ყურ-ზაური სოფლის მკვიდრთა. წყალი მატულობს თანდათან, არ ცხრება ზევით ბუნება, ბნელა, გამოსვლა ბინიდან შეუძლებელია; ჩემი სკოლის შენობას ირგვლივ შემოეხვია ერთი არშინის სიმაღლეზე წყალი, სკოლიდან გამოსვლა და გაქცევა ყოვლად შეუძლებელი გახდა. წყალი ამოდის ზევით, შენობას წაქცევას უქადის, მეტი ღონე არ იყო, ცოლ-შვილი ზევით შენობის ჭერზე ამეყვანა, ჩემი და სახელმწიფო ნივთები შევკარი, მაგრამ რისთვის?! თვით არ გამეგებოდა რას ვაკეთებდი. მხოლოდ თითოეული წუთი ჩემთვის რას შეადგენდა. ასე ამ გვარი სასოწარკვეთილებით მივაღწიე დილის 5 საათამდე. ამ დროს ცხენზე მჯდომი კაცი შემოვიდა, მომადგა გარეთ და ნუგეშინის სიტყვა მომაძახა. ეს იყო აქაური სოფლის მცხოვრები ვლადი უბილავა, რომელიც მარტოდ-მარტო იმ ღამეს ცხენით ევლო სოფელში და აღვიძებდა მძინარე ხალხს.

მეორე დღეს, 26 ივნისს, იწყო წყალმა კლება და როგორც იქნა ვეღირსე გარედ გამოსვლას. აბობოქრებულმა სტიქიონმა ჩემი 9—10 წლის დარგული, დამამუშავებული სკოლის მიწა-ადგილი მილეწ-მოლეწილი, აოხრებული, მიწიდან ამოფხრეული, არე-მარედან გადაკარგული, მინდორი, ტყე-ველი, ჰალები, სოფლის ყანები, ანგრეულ-ჩანგრეული, გადაფხეკილი, განწმენდილი-განბანილი დასტოვა. ამის მნახველი მუშა კაცი კვლავ იღუნება წელში, ქვითინებს, ისევ შიმშილი, ისევ სილატაკე, მოსთქვამს, თუ რა ეშველება! . . . .

ზარალი აუწერელია.

**მასწ. თეიმურაზ ჭაჭინაძე.**

დიმ. ბაქრაძე 1882 წელს ეკამათება პეტროგრადის უნივერსიტეტის სომხური კათედრის პროფესორს პატკანიანცს „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული სინამდვილის შესახებ და ზემოდჩამოთვლილი საბუთებით ხელში საბოლოოდ არღვევს მის ცრუ შეხედულებას ამ საისტორიო წყაროს თაობაზე. ამ დროს შემდეგ ეჭვი აღარ შეუტანია არავის „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული სინამდვილის შესახებ.

დავასახელებთ მის სხვა უფრო შესანიშნავ ნაშრომებს, რომელთაც კვალი დასტოვეს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

1861 წელს დასწერა პირველად ქართულ ენაზე ჟურნალ „ცისკარში“ „ქალის მნიშვნელობა საქართველოში“. 1862—1870 წლებში დაწერა: „ბაგრატ მეოთხე“, არქეოლოგიური ნიშნები“ „საინგილო, სამცხე-საათაბაგო და სამეგრელო“, „საქართველო“. 1870 წელს გამოიცა მისი თხზულება: „Тифлисъ въ историческомъ и этнографическомъ отношенiи. ამ შრომის მეორე ნახევარი ეკუთვნის მეისტორიე ბერძენოვს. მაგრამ უფრო დიდი ყურადღება დაიმსახურა დიმ. ბაქრაძემ თვისი შრომით—„Кавказъ въ древныхъ памятникахъ христьянства“, რომელიც გამოვიდა იმავე წელში. ეს შრომა მეტად დიდი შრომაა. მის შედგენამდის დიმ. ბაქრაძემ დაათვალიერა 321 ტაძარ მონასტრები საქართველოში. განსაკუთრებით მოიარა ის ადგილები, სადაც ბროსე არ ყოფილა... აღწერა ტაძარ-მონასტრები, გადმოწერა წარწერანი და ხელნაწერებიდან ამოწერა შესანიშნავი ადგილები. მისი შედგენისთვის ის დაჯილდოვებულ იქმნა სამეცნიერო აკადემიის მიერ ოქროს მენდლით... მარი ბროსემაც სწორედ ამის შემდეგ მიაქცია თვისი ყურადღება დიმიტრი ბაქრაძეს და გამართა მასთან მიწერ-მოწერა. ამან გამოიწვია ის, რომ ბროსეს მონდობილობით დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელში იმოგზაურა გურიასა და აჭარაში. უკანასკნელი მხარე ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში იყო იმ დროს. დიდი სიფრთხილე, თავაზიანობა და თავდაჭერა მართებდა დიმ. ბაქრაძეს აჭარაში მოგზაურობის ჟამს, რომ რაიმე ეჭვი არ აღეძრა ქართველ მაჰმადიანთა შორის და დაეჯერებინა იგინი, რომ მისი აჭარაში მოსვლის მიზანი იყო მხოლოდ ადგილობრივი საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთების შესწავლა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მოძმე აჭარლები დიმიტრი ბაქრაძეს ყველგან სიამოვნებით უხვდებოდნენ და გრძნობდნენ რაღაც ნათესაობას, კავშირს მასთან.

აჭარაში მოგზაურობა დიმ. ბაქრაძემ დაამთავრა პირნათლად.

მისი ვრცელი შრომა: „Археологическое путешествiе по Гурiи и Адчарѣ“ დაიბეჭდა 1878 წელში სამეცნიერო აკადემიის ხარჯით. ამ წიგნს წინ უძღვის დიდად შესანიშნავი წინასიტყვაობა დიმ. ბაქრაძისა, რომელშიც გამოხატულია საქართველოს და კავკასიის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. აქვე ვკითხულობთ ქართველი ერის შესახებ შემდეგ სტრიქონებს: ქართველთა ნაცია იმ თავითვე განსხვავდებოდა თვისის სახის სიმშვენივრით.. თვით სპარსელებმა თვისი სახე გაილამაზეს ჩერქეზთა და ქართველთა სისხლის შერევით. ქართველმა ერმა იმდენი ძლიერი ქარტეხილი გამოსცადა, რომ გასაკვირელია, როგორღა დარჩა ცოცხალი; გამძლე გამოდგა ძლიერ ერებზე, გარშემორტყმული იყო მრავალ რიცხოვანი და სისხლის მსმელ ბარბაროსთა მიერ; თავს ესხმოდნენ და იმონებდნენ; მის ნიადაგს დაუზოგველად სთელავდნენ; მის სიწმინდეებს შეურაცხყოფდნენ; მის მცხოვრებთ რიგს ადგილობრივ ჟლეტდნენ და რიგი ტყვედ მიჰყავდათ. ამისდამიუხედავათ ქართველთა ნაციამ შესძლო დაეცვა ცხოვრების წეს-რიგი: ჰქონოდა თვისი გამგეობის წესი, თვისი სამართალი, ჰყავდა თვისი წოდებულებად დაყოფილი მცხოვრებნი, ჰქონდა თვისი სოციალური და ეკონომიური ყოფა, და თავისი სკოლებიც კი... გამოიჩინა სიყვარული ცივილიზაციისადმი, თვისი მიწა-წყალი დაფარა მრავალი სახუროთმოძღვრებო ძეგლებით, რომელთა შორის საეკლესიო შენობანი გააცვიფრებენ მნახველთ თვისის თავისებურობით და სტილის სილამაზით. სრულჰქმნა თვისი ენაც. ამ ენას შეუძლია გამოთქვას განყენებითი და სამეცნიერო ჭეშმარიტებანი სიადვილით. თვით ქართული ანბანი უუსრულესი ანბანია არსებულ ანბანთა შორის: მასში თითოეული ბგერა გამოითქმის თავისი საკუთარი ნიშნით და თითოეული ნიშანი გამოთქვამს ერთს და იმავე ბგერას“.

ი. ფერაძე.

(შემდეგი იქნება).

# საზოგადოების საყურადღებოთ.

ამ საშინელ ომიანობის დროს ძალიან ბევრს აღეძრა მადა უსაზღვრო გამდიდრებისა. ამ მიზნის მისაღწევათ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. ყველასათვის ცხადია, რომ წვრილი მოვაჭრე უფრო მეტათ ცდილობს თავის კაპიტალის გაზდას და რამდენათ ძლიერია მათი მისწრაფება, იმდენათ ძლიერია და უსაზღვრო ვაჭრობის საქმეში მათი საქციელი.

ქუთაისის ვაჭრები ხომ ასეთ კატეგორიას ეკუთნიან და რაღა გასაკვირი იქნება, თუ მათი მოქმედება მოლოდინს აჭარბებს?..

ფასების ხელოვნურათ გადიდება, საქონლის გადამალვა და ცუდის გასაღება ხომ ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. ეს, რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო მათგან და არც უნდა გვიკვირდეს. ჩვენ თუ გვიკვირს ასეთი საქციელი, გვიკვირს იმ პატივცემულ ვაჭრებისაგან, რომელთაც თავისი თავი საზოგადოებისა და მაშვრალთა სასარგებლო წევრათ მოაქვთ. ერთი ასეთი პირთაგანი ბ. დ. ი. ოცხელია, რომელმაც ქაღალდის ფასი იქამდი გაზარდა, და გაზარდა ხელოვნურათ, რომ მისი ყიდვა შეუძლებელი შეიქნა, ბ. დ. ოცხელმა არ ითაკილა ჩამოევლო მთელი ქალაქი და შეეყიდა ქაღალდი იმ მოვაჭრეებისაგან რომელნიც ქაღალდს, სხვათა შორის, ყიდიან. ამ რიგათ, მან შეაგროვა მთელი ქაღალდი, რაც კი ქუთაისში მოიძებნებოდა, და აუწია ფასი, რაც კი შეიძლებოდა. „რა ვქნა ძვირათ მიზისო“ - გიპასუხებდა თქვენ გაკვირებაზე. დილით რომ ერთ ფასს გეტყოდათ, საღამოზე, უეჭველათ მომატებულს... ასეთ ვაჭრობას აწარმოებდა ის ამ ომის დაწყებიდან და მხოლოდ დღეს შენიშნა „სამშობლოს“ რედაქციამ და უსაყვედურა (ეს კარგი, რომ გვიან მაინც შეამჩნია).

დღეს, კი, როდესაც ბ. დ. ოცხელს უსაყვედურეს, ასეთი არა სეკადრისი საქციელი, გამომდგარა და „სახალხო ფურცლის“ საშუალებით თავს მართლულობს. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, საზოგადოების წინაშე ასე უტიფრათ თავის მართლება! მყიდველებმა ხომ მაინც იციან საქმის ნამდვილი ვითარება, თუ საზოგადოებამ დღემდი არა იცოდა რა?!

**ერთი მყიდველთაგანი.**

# რედაქციისგან.

გუშინ წინ ჩვენი გაზეთის რედაქტორმა ბ. ი. თ. ცინცაძემ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გამგის ბ. ი. ოცხელისგან შემდეგი ოფიციალური ქაღალდი მიიღო:

„ქუთაისის სათავად აზნაურო ქართული გიმნაზია.

№ 389

2 ივლისი 1915 წ.

ქ. ქუთაისი.

ბატონს იაკობ თომას-ძეს ცინცაძეს.

ჩემდამი რწმუნებული გიმნაზიის ინსპექციას ქონდა მსჯელობა მომავალი სასწავლო წლისათვის გაკვეთილების განაწილების შესახებ მიიღო მხედველობაში, რომ 1 სექტემბრიდან გიმნაზიაში დაიხურება სამი პარალელური კლასი, რის გამო გაკვეთილების რიცხვი [illegible] დაადგინა გაცნობოთ თქვენ, რომ მომავალ სასწავლო [illegible] სის საზნაურო გიმნაზიაში გაკვეთილები აღარ გექნებათ. გიმნაზიის გამგე ი. ოცხელი“.

როგორც მკითხველიც გაიგებს, ეს ოფიციალური დოკუმენტი მრავალ მხრივ საინტერესოა. ჯერ ეს ერთი, ქართულ გიმნაზიაში თურმე იკეტება სამი პარალელური კლასი და ამის შესახებ საზოგადოება მხოლოთ ამ შემთხვევით დოკუმენტიდან გებულობს. შემდეგ, ქართული ენის ხუთ მასწავლებელში გაკვეთილები ესპობა მხოლოდ ბ. ი. ცინცაძეს.

რადგანაც რედაქცია ეჭვის თვალით უცქერის სასკოლო ინსპექციის დადგენილების ნამდვილ მიზეზს, რედაქციამ ამის თაობაზე სასკოლო კომიტეტის ზოგიერთ წევრებთან საუბარი გამართა და შემდეგი გამოირკვა:

სასკოლო კომიტეტის წევრთათვის ასეთი დადგენილება სასკოლო ინსპექციისა პირველი გაგონებაა. სასკოლო კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ როგორც პარალელურ კლასების დაკეტვა, ისე მასწავლებლის მოწვევა და დათხოვნა მხოლოდ სასკოლო კომიტეტის კომპეტენციას შეადგენს, რადგანაც კომიტეტია პასუხის მგებელი და პატრონი გიმნაზიისა, სასკოლო კომიტეტში კი ჯერ არ აღძრულა არც პარალელურ კლასების დაკეტვის, არც ბ. ი. ცინცაძის დათხოვნის საკითხი.

ამ რიგად, კომიტეტის იმ წევრთა აზრით, რომლებიც ინახულა ჩვენი რედაქციის წარმომადგენელმა, აქტი ბ. ცინცაძის გიმნაზიიდან დათხოვნისა და ამისი დასაბუთება იმით, რომ გიმნაზიაში პარალელური კლასები იკეტება, ნაჩქარევია და არ შეეფერება სასკოლო კომიტეტის არც ერთ დადგენილებას.

ამავე საკითხის თაობაზედ რედაქციის წარმომადგენელმა ისაუბრა გიმნაზიის ზოგიერთ მასწავლებელთან და გამოირკვა შემდეგი:

ტაბლიცა გაკვეთილების განაწილებისა და გაკვეთილების რაოდენობისა შემდეგ სურათს იძლევა. ქართულ ენას და ქართულ ისტორიას სულ 89 გაკვეთილი აქვს დათმობილი და ჰყავს ხუთი მასწავლებელი. გიმნაზია ამაზე ხარჯავს 5836 მანეთს. კომიტეტმა კიდევაც, რომ დაადგინოს პარალელურ კლასების დაკეტვა, საერთო რიცხვი გაკვეთილებისა შეიძლება მხოლოდ ათი გაკვეთილით შემცირდეს. რჩება 79 გაკვეთილი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თითო მასწავლებელს შეუძლია მხოლოდ 18 გაკვეთილი იღოს თავზე და ქართული ენისა და ისტორიის ხუთ მასწავლებელში ორს მხოლოდ 12 გაკვეთილის აღების უფლება აქვს, რადგანაც ერთი იმავ დროს სკოლის ინსპექტორობას ასრულებს და მეორე სამღვთო სჯულსაც ასწავლის—შემდეგს მივიღებთ:

ორს მათგანს ექნება 24 გაკვეთილი და სამს 55, ე. ი. თითოს 18 გაკვეთილი.

ასეთი რიცხვი გაკვეთილებისა თითო მასწავლებლისათვის ნორმალურია და სრულებით არ მოითხოვს შტატის შემცირებას.

აქვს რა მხედველობაში რედაქციას ყველა ზემო აღნიშნული, იგი ფიქრობს, რომ ნამდვილი მიზეზი ბ. ი. ცინცაძის დათხოვნისა სულ სხვაგან სძევს და ჰკვირობს, რომ ამის შესახებ სასკოლო კომიტეტმა არაფერი არ იცის.

ი. ცინცაძემ გუშინ სასკოლო კომიტეტს ყველაფერი ეს შეატყობინა და სთხოვს სამართალს.

ჩვენ ჯერ მოვუცდით სასკოლო კომიტეტის პასუხს.

# დაბა-სოფელი.

**ს. წევა.** (ზემო იმერეთი). 25 მაისს, ამ სოფლის მცხოვრებთ მოახდინეს ყრილობა ადგილობრივი სკოლის ეზოში ბლ. დ. სუხიაშვილის და შორაპნის საზოგადოების მამასახლისის ნ. მანჯავაძის თანდასწრებით ყრილობას ქონდა გასარჩევი სხვა-და-სხვა საკითხი, მაგ. დღესასწაულ კვირიკობის მოსპობისა, გარდაცვალებულის დაკრძალვის წესრიგის შემოღებისა და სხვა. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ყრილობამ ერთხმად დაადგინა, რათა არავის ექნეს ნება ამ დღისთვის სტუმრის მოწვევისა, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება დაჯარიმებული 50 მან. ადგილობრივი სკოლის სასარგებლოთ, გარდაცვალებული კი უნდა გაასვენონ პურით, ღვინით და ლობიოთ. აღსანიშნავია რომ დღესასწაულ კვირიკობის მოსპობის წინააღმდეგი აღმოჩნდა მთელ ყრილობაზე მარტო ერთი ადგილობრივი ჩარჩ-ვაჭარი პ. გაჩეჩილაძე, რომელმაც ძალით აიყოლია რამდენიმე გარეშე პირები და სურდათ რათა იმ დღეს, როგორც მოწვეულ სტუმრებისთვის, აგრეთვე მათი მასპინძლებისათვისაც ტყავი გაეძროთ, მაგრამ ხალხმა მაინც თავისი გაიტანა და ჯეროვანი დადგენილება გამოიტანა, რომელიც მთავრობას დაამოწმებინეს.

აქაური ვაჭრობისათვის არავითარი ნიხრი არ არსებობს და მათ თავგასულობას საზღვარი არა აქვს. სიმინდი ფუთი პირველი ხარისხისა 1 მან. და 40 აბაზი, მეორე ხარისხის 1 მ. და 3 აბაზი, პური გირვანქა 7 კაპ., რომლის ჭამა შეუძლებელია, ვინაიდან ნახევრად ცომია.

**მაყურებელი.**

# † ვასიკო ახვლედიანი.

25 ივნისს ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ერთი ძვირფასი მეგობართაგანი, მოსკოვის აგრონომიულ ინსტიტუტის სტუდენტი, ვასიკო ახვლედიანი. საბრალო ვასიკომ საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1913 წელს. ჯერ კიდევ სასწავლებელში ვაიკო იმ მოწაფეთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული მშობელი ხალხის სამსახური. საბრალო ვასიკო სასწავლებელშივე იკვლევდა გზას, რომელსაც უნდა დასდგომოდა მომავალში. იგი ამ მიზნით გაემგზავრა მოსკოვს, სადაც სწავლის გასაგრძელებლათ შევიდა აგრონომიულ ინსტიტუტში. მას სურდა შეესწავლა აგრონომია და შემდეგ ღრმა ცოდნით დაბრუნებოდა მშობელ მხარეს. მაგრამ სუსხიანმა ჩრდილოეთმა მალე გამოისტუმრა თბილი სამშობლოს შვილი დაღ-დაჩენილი; ე სიცოცხლეს გამოასალმა 21 წლის ახალგაზდა... მარადისობას ეზიარა!

სასწავლებელში ყოფნის დროს ვასიკო ერთ საუკეთესო ამხანაგათ ითვლებოდა და ამით ამხანაგებში დიდი ნდობა და სიყვარული ქონდა მოპოვებული. ჩვენ გვწამდა, რომ აღფრთოვანებული ენერგიით აღსავსე ვასიკო შეიქმნებოდა სასარგებლო წევრი საზოგადოებისა, მაგრამ განგება სხვაგვარ სჯიდა და მის მაგიერ რომ გვენახა იგი ცხოვრების ასპარეზზე მებრძოლთა შორის, ჩვენ ვნახეთ უფერული, სამუდამოთ განშორებული ამ წუთისოფელს!

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო, ვასიკო! შენი ამხანაგები არ დაგივიწყებენ შენ და საუკეთესო ადგილი გექნება ჩვენს ამხანაგთა შორის!

**სტ. ნიკ. ლაჭყეპიანი.**

# სახალხო მასწავლებლები.

აი, რა მითხრა ერთმა მასწავლებელმა:

— ავათ ვიყავი. ქ—ში ვაქიმობდი. ოთახში თვეში 10 მან. ვიხდიდი, ხარჯი დიდი მქონდა და ჩემი ჯამაგირი აბა როგორ მეყოფოდა?! ფული დამეჭირდა ძლიერ. ერთ ვაჭარს შევეხვეწე— ხუთი მანეთი მასესხეთქო. ვიღაცას ამ ვაჭრის ფული მართებოდა და მომკვდარიყო. დღეს გაეგო ეს ამბავი... მითხრა, ვერ გასესხებო; მაქვს, მაგრამ მაინც ვერ გასესხებო... მეშინია შენც არ მოკვდე და ფული არ დამეკარგოსო.

იქვე რომ მომკვდარიყავი მირჩევნოდა! რა მექნა?! სხვა გზა არ მქონდა. კიდევ დავიმცირე თავი და ვსთხოვე: ფილიმონ! მასესხე... სარგებელი აიღე... არ ქნა.

ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, რა საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდიდა ფიზიკურათ დაუძლურებული საწყალი მასწავლებელი ამისთანა უარის შემდეგ! თითქმის ყველა სოფლის მასწავლებელი ავათ არის და ასეთი მაგალითი სხვაც ბევრი მოხდებოდა და აწიც მოხდება!

თანამედროვე მსოფლიო ომმა ბევრი რამე შესცვალა, მასწავლებელთა ცხოვრებასაც შეეხო და ერთგულ განათლების მუშაკთა გულს მწარეთ უკბინა. ყველაფერი გაძვირდა, მასწავლებელთა ხელფასის გარდა! მხოლოდ ამათი შრომა შეფასებულია, ძველებურათ—28 მან. თვეში! 28 მან. წინათაც არ ყოფნიდათ, მათ ნახევარ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა; და დღეს ხომ, როცა ყველაფერი მამასისხლათ ფასობს, ყოველ დღე შიმშილს უნდა განიცდიდეს მასწავლებელი?! უზომო შრომა სოფლის შკოლაში და შიმშილი!.. რა საშინელებაა?!

ვისაც არ უმსახურია სოფლის მასწავლებლათ, ვინც ძლიერ დაახლოებით მაინც არ იცნობს მასწავლებელს და ყოველ დღე თვალ-ყურს არ ადევნებს მის მუდმივ შრომას,— მას არ შეუძლია წარმოიდგინოს ამ ცხოვრების გერთა ტრაღიკული მდგომარეობა! ბევრგვარ ნაკლებულობაგაჭირვებას—განიცდის მასწავლებელი, იტანჯება სულიერათ და უძლურდება ფიზიკურათაც... საკვირველია, როგორ იტანს ამდენ გაჭირვებას და რათ იწამლავს სოფლის შკოლის მოშხამულ ჰაერში სიცოცხლეს, როცა მას შეუძლია სხვა სამსახურშიც გამოდგეს და—თუ კაცი კაცათ დარჩება—არა ნაკლები სარგებლობა მოუტანოს თავის ხალხს?! მაგრამ, ალბათ, შეჩვეული ჭირი ურჩევნიათ შეუჩვეველ ლხინს. ან საქმის სიყვარული არ უშვებს...

ჯერ-ჯერობით ასეა, მაგრამ დადგება დრო, მასწავლებელი გაექცევა შკოლას. ომიდან დაბრუნებულ მასწავლებლების $^{1}/_{3}$-ც არ დადგება თავის ადგილზე... შიმშილით სიკვდილს რომ კაცი გაექცეს, გაამტყუნებთ?..

„სხვები, ხომ არ აფასებენ და საზოგადოება მაინც რომ თან გრძნობით ეკიდებოდეს მასწავლებლებს, კიდევ კარგი! „ვის დავეხმარო?! მასწავლებელს? რას აკეთებს... ან რა შეუძლია გააკეთოს“?!—აი ერთი ინტელიგენტ ქალის აზრი მათ შესახებ. და მდაბიო ხალხმა რომ არ დააფასოს მათი შრომა, რა გასაკვირალია?!

ერთხელ მე, ჩემი ამხანაგი და მამასახლისი შკოლის ეზოში ვიდექით. სამი-თუ ოთხი გლეხი მოვიდა. „ბატონ მამასახლისს გაუმარჯოს“!—და მიწამდი მოუხარეს თავი. მე არც კი შემომხედეს... ზურგი შემაქციეს.—მითხრა ერთმა მასწავლებელმა.

ვისიც ეშინიათ, ვინც ხალხს აძრობს ტყავს, მათ ფეხქვეშ ეგებიან მასწავლებლებს კი, რომლებიც ხალხის მუშები არიან, არაფრად აგდებენ! ბევრს კარგ კაცად ის მიაჩნია, ვისაც დიდი ჯამაგირი აქვს. მდიდარს დაეხმარებიან, გამოგვადგებაო და მასწავლებელს კი, წყალში რომ იხრჩობოდეს, არავინ მიხედავს. საწყალ მასწავლებლებს გაჭირვება დიდი აქვთ, დახმარება კი არავისგან. და ამ სოფლათვე ჯოჯოხეთში არიან ჩაცვენილი...

მაგრამ, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“—და თავის ასეთი უბედურების მიზეზი თვითონვე არიან, რადგანაც ვერ მოუნახავთ ჯოჯოხეთიდან გამოსასვლელი გზა...

**გერასიმე.**

# შროშის საზოგადოება.

(შორაპნის მაზრა.)

ამ საზოგადოებაში შვიდი სოფელია: შროშა, ლაშე, ღვერკი, საწაბლე, აჭარა, სამება და მიროწმიდა. ნიადაგი მთაგორიანია და ძალიან ძვირათ თუ შევხვდებით ვაკეს. უპირველეს სარჩოს ცხოვრებისას შეადგენს ღვინო და ამისათვის ვაზის მოვლა მოშენება ძალიან გავრცელებულია და კარგადაც ხარობს და უნდა ვსთქვათ, რომ ღვინოც საუკეთესო ხარისხისა დგება. სიმინდსა და პურს, მართალია სთესვენ, მაგრამ ძალიან ცუდი მოსავალი მოაქვს ადგილის სიმწირისა გამო.

სწავლა განათლებისა და კულტურულ დაწესებულებების მხრით 1905 წლიდან ამ საზოგადოებას სხვებთან ერთად წინსვლელობა ემჩნევა და უნდა აღვიაროთ, რომ შესაძლო იყო პირველი ადგილიც დაეჭირა რომ ერთი მეორის მიუყოლობას და ინტელიგენციის გულგრილობას ამ საგანზე ადგილი არ ქონდა, ეხლა-ხან აქ არსებობს სამი ორკლასიანი და ერთი ორკომპლექტიანი შკოლა და, როგორც მოწაფეთა რიცხვით და აგრეთვე სწავლა აღზრდის მხრითაც ჯერ-ჯერობით ყველაში კარგადაა დაყენებული საქმე; უნდა მოვიხსენოთ აჭარის ორკლასიანი შკოლა, რომელშიდაც წელს პირველად დაასრულეს კურსი რვა მოწაფემ, რომლის მართველია ბლაღ. მღ. დავით სუხიაშვილი და, როგორც უკანასკნელის აგრეთვე ამავე შკოლის მასწავლებელთა კორპორაციის თაოსნობით ამ ერთ წელში გაიმართა ორჯერ სალიტერატურო საღამო დაჭრილ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ, რითაც საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა და შემოსავალიც კარგი იყო, უსუროთ დანარჩენ შკოლების მასწავლებლებსაც უკანასკნელისთვის წაება ძოს და ამით ცოტაოდენი განათლება შეეტანოსთ ჩვენს უპატრონოდ მიტოვებულ ყრუ სოფლებში.

ამავე საზოგადოებაში (სად. ძირულაში) არსებობს „შროშის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“, რომელიც დაარსდა 1913 წ. 2 ოქტომბრიდან და დღემდის ამხანაგობაში ირიცხება 5000 დე წევრი; სახელმწიფო ბანკიდან ნასესხები, მობარებული და პაის ფულიანა დღეს ამხანაგობას აქვს 19,00 მანეთამდე და დღემდის ეს დაწესებულება ძალიან კარგს ნიადაგზე იყო დაყენებული, რომ ამ უკანასკნელად ორ გარემოებას არ შეეშალა ხელი: პირველი ის, რომ საქმის მწარმოებელი მასწ. ალ. ხარატიშვილი ომში გაიწვიეს და მეორე—გამგეობის თავმჯდომარე მღ. გიორგი მანჯავიძემ წელს წლიურ კრებაზედ ზედმეტი ჯამაგირი მიითვისა (180 მან.) თუმცა პირველ არჩევის დროს შეპირებული იყო, რომ სამ წლამდის უჯამაგიროთ ვიმსახურებო*) ეს ასე არ მოხდებოდა მაგრამ მ. მა „თავმჯდომარეს“ წელს ისე მოუწყვია საქმე, რომ წლიურ კრებაზედ მხოლოდ „მისიანები“ დაუბარებია 150 წევრი და დანარჩენ 350 წევრს კიდეც არ გაუგია თუ რა დღეს იყო დანიშნული წლ. კრება, რაზედაც მთელი ამხანაგობა ძალიან აღელვებულია და თუ საქმეს როგორმე შინაურათ თავი არ მოევლო, ადვილი შესაძლოა ეს დაწესებულება სულაც დაიხუროს ასეთი მადა აღძრული მოძღვრის თაოსნობით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კი „მამა თავმჯდომარე“ კულტურული დაწესებულებების და მისი წინსვლის მომხრეა (როგორც თითონ გვამცნობს) და როდესაც მას წლიწადში, რაც უნდა გავადიდოთ, 18 დღის მეტი არ გაუცდება (რადგან უმეტესი შრომა და საქმე საქმის მწარმოებლის ხელშია), დღიურათ თავის გასამრჯელოთ 10 მანეთი არ უნდა დაენიშნა!?!

ამავე საზოგადოებაში სოფ. შროშაში 21 ივნისს გაიხსნა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო უკვდავი მგოსნის აკაკის სახელობაზე, რომლის კურთხევას სხვა ურიცხვ დამსწრეთა შორის პატივი სცეს და დაესწრენ ქუთაისიდან ჩამოსული სტუმრები: ია ეკალაძე, ლადო ბზვანელი ნემო და სხვ.. გადაწყვეტილი იყო გაემართათ ამ დღისთვის წარმოდგენა—„უბედური დღე“ და „დარისპანის გასაჭირი“, მაგრამ სამწუხაროთ ამ გარემოებას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდმა, რადგან სცენა შკოლის ეზოში იყო გამართული.

საკვირველია, რომ სადგურ ძირულაში, რომელიც გულია ამ საზოგადოებისა, როგორც ვაჭრობის, აგრეთვე ადმინისტრაციის მხრით, ჯერ კიდევ არ დაუარსებიათ სამკითხველო—თუმცა ეს კია, რომ ორჯერ გაგზავნილი აქვთ თხოვნა, სადაც ჯერ არის უკანასკნელის დაარსების ნებართვის შესახებ!..

რაც შეეხება აქაური ვაჭრების მოქმედებას, გზებისა და ხიდების უქონლობას და სხვას ამაზედ მოკლე დროში მოგახსენებთ.

*) ამხანაგობის გასავალი სახლის (ბინა) დანარჩენ გამგეობის წევრების ჯამაგირიანა 700 მანეთამდე აღწევს და საეჭვოა, რომ ასეთმა ნორჩმა დაწესებულებამ უზარალოთ ამდენი ხარჯი აიტანოს. (!).

**ილმელი.**

# კიდევ შენიშვნა.

(ბ. ს. ჩიქოვანს)

წავიკითხე თქვენი პასუხი „სამშობლოს“ 117 №-ში, რაზედაც კიდევ უკანასკნელად შეგნიშნავთ შემდეგს:

1) ბაზრებზე შემოსული სანოვაგე 12 საათამდე, როგორც დადგენილი აქვს ქალაქის გამგეობას, ვერ უნდა იყიდონ გებუტკეებმა და სხვა ჩარჩებმა, არამედ ჯერ მცხოვრებლებმა; 12 საათის შემდეგ კი რაც დარჩება სანოვაგე, მაინც მებუტკეების იქნება შემდეგ, აბა ხომ არ გადაყრის ან უკანვე წაიღებს სოფლის ხალხი?! მათ შემდეგ შეუძლიათ მაინც მოგებით გაყიდონ.

2) მებუტკე „ზედმეტი ბარგიაო“ ჩვენ არ გვითქვამს, არამედ ის ვსთქვით, რომ ბაზრის ზედამხედველმა შეასრულოს ქალაქის გამგეობის დადგენილება; არ მისცეს მათ ნება 12 საათამდი სანოვაგის ყიდვისა და მით დაიცვას იმ მცხოვრებთა ინტერესები, რომლების ჯიბიდანაც იმისი ჯამაგირი ამოდის.

3) თქვენ ვალდებული ხართ ბაზარი ჩამოიაროთ არა მაშინ, როდესაც „მარითდი იქ ბრძანდებაო“, როგორც თქვენ ლაპარაკობთ თქვენს პასუხში, არამედ დილის 6 საათიდან მაინც, თუ უფრო ადრე, არა, და 11—12 საათამდე უნდა ადევნოთ თვალყური, და თუ ვერ გაუდიხართ ორ-სამ [illegible] სხვა საქმეა.

4) დასასრულ, რაც შეეხება მას, რომ „კაცი ყოველთვის მიუდგომლად უნდა მსჯელობდესო“, ამაზე მოგახსენებთ, რომ მე თქვენ სრულებით არ გიცნობთ, მხოლოდ, ეხლა გავიგე თქვენი პასუხიდან, რომ თქვენ ბრძანებულხართ ბაზრის ზედამხედველი; მე საზოგადოთ, როგორც პრესის თანამშრომელმა, რაც ჩემი თვალით ვნახე მოედანზე, ის აღვნიშნე სისწორით, რაც შეადგენს ყოველი თანამშრომლის ღირსებას, თორემ ვიმეორებ კიდევ, მე თქვენ არ გიცნობთ ვინ ბრძანდებით და არც ადგილზე გემუშტრებით, თქვენ კი შენიშვნების მიღების მაგივრად მებუტკეებს და ჩარჩებს დადგომიხართ ვექილად და იცავთ, ასეთი საქციელი ოვითონ თქვენ მოგცხებს ჩირქს, ამით ვათავებ თქვენთან ლაპარაკს და ვისურვებ, რომ ბაზრებში აწ აღარ ჰქონებოდეს ადგილი ასეთ დეფექტებს, თუმცა კი ვეჭვობ.

**მარი ოლლი.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ბ. პლატონ კილასონიას, რომელმაც კეთილ ინება და გამოგვიწერა „თანამედროვე აზრი“ მასთან გვიგზავნის „ახალი კვალს“, „სამშობლოსა“, „თეატრსა და ცხოვრებას“ „ახალი-მათრახს“ და სხვას.

კავკ. ბრძ. ველზე მყოფი ჯარის კაცების მონდობილობით.

**იონა კილასონია.**

——

(ვასილ კაპჭელაშვილის საპასუხოთ).

გაზეთი „სამშობლო“-ში №-115-ში იყო მოთავსებული დია-წერილი ჩემზე მომართული, ვითომც მე ანგარიში სრულად არ გამესწორებიოს ზემოხსენებული კაპჭელაშვილისათვის სავაჭროდან გასტუმრების დროს, რასაც ჩემთან არავითარი ადგილი არა აქვს და სიმართლეს მოკლებულია, პირ იქით გასტუმრების დროს კრინტიც არ დაუძრავს, წაიღო მთელი ხვედრი, ხელი მოაწერა ანგარიშს და წავიდა, წასვლის მიზეზიც თვითონ იყო, ამიტომ ამ გაუგებრობის გამოსარკვევათ ჩემის მხრით ვასახელებ მედიატორეთ გიორგი გორდაძეს და იოსებ გვეტაძეს კაპჭელაშვილს ვინც უნდა ის დაასახელოს.

**პავლე ჩაკვეტაძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**


# თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к.** კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

# აბანო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

**აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე.** თ.